



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 31

ქალაქი ქუთაისი 29 იანვარი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 39-ე  
რიგითი სხდომის გადადების შესახებ

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 29 იანვრის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

**მუხლი 1.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 39-ე რიგითი სხდომა გადაიდოს 2025 წლის 3 თებერვლის 16 საათამდე (სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის მე-2 სართულზე არსებული სხდომათა დარბაზი, ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3).

**მუხლი 2.** დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს, ივანე ჟორჯოლიანს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და სხდომაზე მოსაწვევი პირების დაუყოვნებლივ ინფორმირება ზემოაღნიშნულის თაობაზე.

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი შენგელია

